<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998, გვ. 8) მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „მ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების განხორციელებით, რომლის შესაბამისადაც, იცვლება კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო, კერძოდ კი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებები გადაეცემა სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ხდება საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლის ერთ-ერთი სახის - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსაკრებელის გაუქმება, ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში განსახორციელებელი ცვლილების შედეგად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის დადგინდება მომსახურების საფასური, რომელიც იქნება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყარო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გამომდინარე იქიდან, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის მოსაკრებლის ნაცვლად დგინდება მომსახურების საფასური, რომელიც იქნება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყარო.

2017 წლის მონაცემებით, ჯამში გაცემულია 97 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, აქედან სანებართვო მოსაკრებელი გადახდილია მხოლოდ 23 სანებართვო საქმიანობაზე (დანარჩენი მშენებლობლობის ნებართვას საჭიროებდა და შესაბამისად მშენებლობის

ნებართვის მოსაკრებელის გადახდას ექვემდებარებოდა) საიდანაც ბიუჯეტში შევიდა მხოლოდ და მხოლოდ 11500 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის იანვრიდან კოდექსის ამოქმედების შედეგად გაიზარდა საქმიანობების ჩამონათვალი რასაც შესაბამისად უნდა გამოეწვია მოსაკრებლის გადახდის შედეგად წლის განმავლობაში ცენტრალურ ბიუჯეტში შესული თანხის გაზრდა, აღნიშნული თანხა არსებული მონაცემების გათვალისწინებით ვერ იქნებოდა იმ ოდენობის, რასაც შეუძლია, არსებითი გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

“მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება

მუხლი 5. მოსაკრებლის სახეები

1. შემოღების წესის მიხედვით მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი.

2. საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია:

ა) (ამოღებულია) ;

ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი მოსაკრებლებისა);

გ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი;

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

ე) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი;

ვ) სახელმწიფო ბაჟი;

ზ) საკონსულო მოსაკრებელი;

თ) (ამოღებულია);

ი) (ამოღებულია) ;

კ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;

ლ) (ამოღებულია) ;

მ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;

მ[1]) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსაკრებელი;

ნ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი;

ო) (ამოღებულია).

3. ადგილობრივი მოსაკრებლებია:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი;

ბ) (ამოღებულია);

გ) (ამოღებულია) ;

დ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

ე) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

ვ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი;

ზ) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;

თ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სა ნებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი;

ი) მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი .

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სარეგისტრაციო და სახელმწიფოს საექსპერტიზო მოსაკრებლები არ ვრცელდება:

ა) „საქპატენტის“ მიერ სამრეწველო საკუთრების დასაცავად გაწეულ საქმიანობაზე;

ბ) „საქჯიშცენტრის“ მიერ მცენარეთა ჯიშებზე სელექციონერთა უფლებების დასაცავად გაწეულ საქმიანობაზე.